დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა. სარეგისტრაციო პროცესი 2023 წლის 21 – 27 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა, როგორც დისტანციურად (ელექტრონული ფორმით), ისე საქართველოს მასშტაბით 12 მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მომსახურების მიზნებისთვის შექმნილი სამდივნოების მეშვეობით.

გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 1773-მა მოქალაქემ დააფიქსირა (ქალი-1310; კაცი-463), რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 40%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).

სწავლების ცენტრმა სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველებს შესთავაზა შესაძლებლობა, სერტიფიცირების გამოცდისთვის უფასოდ გაიარონ მოსამზადებელი სასწავლო კურსი, რომელიც ეფუძნება საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ტესტების შინაარსობრივ განხილვას და პრაქტიკულ დავალებებს. გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთაგან ამ კურსის გავლაზე თანხმობა 1110 მოქალაქემ (95%) დააფიქსირა. სწავლების ცენტრის წარმომადგენლები შესაბამის სასწავლო პროგრამას, დისტანციურ ფორმატში, მიმდინარე წლის 29 ნოემბრიდან პირველი დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ჩაატარებენ.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები 4-7 დეკემბერს განხორციელდება.

სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ტესტები ხელმისაწვდომია ბმულზე (საკითხები გამოცდაზე უცვლელი ფორმით გამოიყენება).

2023 წლის დეკემბერში გასამართი სერტიფიცირების გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	თბილისი, მუხიანი, მე-3 მ/რ, კორპ. №23 (N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	700	681
2	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32 (N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)		
3	ქ. თელავი, დავითაშვილის №2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	480	99
4	ქ. რუსთავი, ფიროსმანის №19 (N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	105
5	ქ. მცხეთა, აღმაშენელის № 51 (N27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	45
6	ქ. გორი, სამების №1 (N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	91
7	ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	320	74
8	ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №8 (N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	270	41
9	ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №31 (N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	420	212
10	ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 5 (N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	88
11	ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	46
12	ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 221 (N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	540	114
13	ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. №27 (N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	177